საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 04/824
26.08.2024

ბრძანება

824-01-4-202408261301

შპს ,,სმარტლის“ (ს/ნ 402026491) 2024 წლის 25 ივლისის N01/3773 საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ

,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, „საჩივრის ფორმის, მისი წარდგენის წესის და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურისა და ვადების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N38 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. განუხილველად იქნეს დატოვებული შპს ,,სმარტლის“ (ს/ნ 402026491) 2024 წლის 25 ივლისის N01/3773 საჩივარი.

2. საჩივრის განუხილველად დატოვება არ ართმევს პირს უფლებას, მომართოს საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს იმავე დავის საგანზე, იმავე საფუძვლით საკითხის შესწავლის მოთხოვნით.

3. საჩივრის განუხილველად დატოვება არ ართმევს სააგენტოს უფლებას საჩივრის გახმობამდე წარმოდგენილი ინფორმაცია გამოიყენოს საკუთარი ინიციატივით მოკვლევის წარმოებისთვის.

4. წინამდებარე ბრძანება ეცნობოს მომჩივან და მოპასუხე მხარეებს.

5. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წინამდებარე აქტის ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

6. ბრძანება მისი მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში გამოქვეყნდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

7. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: შპს ,,სმარტლის“ (ს/ნ 402026491) განაცხადი საჩივრის გამოხმობისა და საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე (თარიღი: 22.08.2024; რეგ: N 01/4271).

ირაკლი ლექვინაძე



თავმჯდომარე

ქ. თბილისი

22.08.2024წ.

სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს
(შემდგომში - სააგენტო)
თავმჯდომარეს ბატონ ირაკლი ლექვინაძეს
ელ-ფოსტა: info@gcca.gov.ge
მისამართი: 0102 ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზირი - 154.
ბიზნეს ცენტრი "მწვანე ოფისი"

შპს „სმარტლის" (ს/კ N 402026491)
დირექტორის ბესიკ პაპიაშვილის (პ/ნ N01032003660)
მის.: საქართველო, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 15;
ბიზნესცენტრის მეოთხე სართული

განაცხადი

(საჩივრის გამოხმობისა და საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე)

მოგახსენებთ რომ 2024 წლის 25 ივლისს თქვენს მიერ ელექტრონულად დადასტურებულ იქნა ჩვენი საჩივრის მიღება, რომელიც შეეხებოდა დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების დადგენას შემდეგი კომპანიების მიერ:

1. **შპს "ტავ ურბან საქართველო" (ს/კ 206203491) და**
2. **შპს „ალმა"ს (ს/კ 204873388)**

აღნიშნულ საქმეში სააგენტომ დიდი დახმარება გაგვიწია, რის გამოც გვსურს უღრმესი მადლობა გადაგიხადოთ. თქვენი ჩართულობისა და სამართლებრივი მექანიზმების გამოყენების შედეგად მივიღეთ საკმაოდ კონკრეტული და ხელშესახები შედეგი.

კერძოდ, შპს „ალმა"სთან (ს/კ 204873388) დათანხმდა თანამშრომლობას, გავაფორმეთ შესაბამისი ხელშეკრულება და დავიწყეთ სამართლებრივ-ფინანსური ურთიერთობა.

აღნიშნულის გამო გთხოვთ, შეწყვითოთ საქმის წარმოება და გაცნობებთ რომ შპს "ტავ ურბან საქართველო"სთან (ს/კ 206203491) და შპს „ალმა"სთან (ს/კ 204873388) პრეტენზიები დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებით აღარ გაგვაჩნია.

გთხოვთ, შეწყვიტოთ საქმის წარმოება ჩვენს საჩივართან დაკავშირებით.

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა გაწეული სამართლებრივი დახმარებისა და ოპერატიული მოქმედებებისათვის.

პატივისცემით,

შპს „სმარტლის"
დირექტორი ბესიკ პაპიაშვილი:

ბესიკ პაპიაშვილი

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო
კანცელარია
01/4271 22 აგვისტო 2024 წ.
ფურცლების რაოდენობა 3 ფურცელი

Document Ref: 8JGQJ-9YW73-SNKPH-F5WAH